საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1624-03
20/09/2022

,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022–2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ“ N1082-03, 22/07/2022 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ნინო ჟვანიას 2022 წლის 20 სექტემბრის N13691-35 წარდგინების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022–2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ“ N 1082-03, 22/07/2022 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების პირველ პუნქტში და ამ პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ფაკულტეტებს/სკოლას და უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;
3. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;
4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE